საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/48

ქ. ბათუმი

04 მაისი, 2018 წ.

,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №01-08/28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №01-08/28 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსის ,,ბ'' ქვეპუნქტი.

,,ბ) II - III ეტაპი – 2018 წლის 10 ივნისის ჩათვლით".

2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**